

ქართული მედია გარდამავალ პერიოდში  
(2012-2014)



ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი, 2014 წელი

ანგარიშის ავტორი: სალომე აჩბა

რედაქტირება: ალექო ცქიტიშვილი, ნინო ტლაშაძე

თარგმანი: ნინო ცაგარეიშვილი



**National Endowment  
for Democracy**

*Supporting freedom around the world*

*ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა არ ასახავდეს NED-ის მოსაზრებებს.*

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	4
2012 წლის საპარლამენტო არჩევნები და მედია .....	5
მედია არჩევნებიდან არჩევნებამდე - მეცხრე არხის დახურვა, ახალი ტელევიზიები....	8
2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და მედია.....	9
საზოგადოებრივი მაუწყებლის კრიზისი .....	12
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია .....	15
ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა .....	17
ეთიკა და თვითრეგულირება.....	19
შეჯამება და რეკომენდაციები .....	20

## შესავალი

დღესდღეობით საქართველოს, მედიის კუთხით, ერთ-ერთი საუკეთესო საკანონმდებლო ბაზა აქვს მთელს სამხრეთ კავკასიაში. კანონმდებლობის დონეზე მეტ-ნაკლებად კარგადაა დაცული როგორც მედიის, ისე სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. მიუხედავად სრულფასოვანი საკანონმდებლო ბაზისა, კვლავაც პრობლემად რჩება ამ კანონმდებლობის პრაქტიკაში იმპლემენტაცია, მედიის პროფესიონალიზმის ხარისხი, ჟურნალისტური სტანდარტების დაცვა და სხვა.

Freedom House -ის 2013 წლის ანგარიშში ქართული მედია დახასიათებულია, როგორც „ნახევრად თავისუფალი“.<sup>1</sup> ამ ანგარიშის მიხედვით, ხელისუფლების გავლენა კერძო მაუწყებელზე განსაკუთრებულად შესამჩნევი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე იყო. თუმცა ბოლო წლების განმავლობაში შეიმჩნეოდა გარკვეული პროგრესი მედიის კონტროლის შესუსტებისა და განსხვავებული შეხედულებების ხელმისაწვდომობის მხრივ, განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში.

2012-2013 წლები უმნიშვნელოვანესი იყო ქართული მედიის განვითარებისთვის. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები გამოირჩეოდა აგრესიული საარჩევნო კამპანიით და ეს ბუნებრივია, აისახა მედიის მიერ არჩევნების გაშუქებაზე. სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობის შედეგად, 2012 წელს წინასაარჩევნო პერიოდში ამოქმედდა Must Offer-სა და Must carry -ის პრინციპები, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით, საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ზრდასა და ზოგადად, მედიის სფეროს განვითარებაში. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მედიაგარემოში ახალი აქტორები გამოჩნდნენ, მათი ნაწილი (მაგ: TV9) მალევე დაიხურა, ნაწილი კი დღემდე აგრძელებს მუშაობას. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა შედარებით მშვიდ გარემოში ჩაიარა და ასეთივე იყო არჩევნების მედიაგაშუქებაც. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, საპრეზიდენტო არჩევნების დროს მედიაგარემო ნაკლებპოლარიზებული იყო და საარჩევნო პროცესებიც უფრო დაბალანსებულად და მიუკერძოებლად შუქდებოდა.

მიუხედავად ბოლო პერიოდში მედიაგარემოში მომხდარი პოზიტიური ცვლილებებისა, ქართული მედია კვლავაც უამრავი პრობლემის და გამოწვევის წინაშე დგას. ანალიტიკური მასალების სიმწირე, მოვლენების ზედაპირულად გაშუქება, საგამომიებო ჟურნალისტიკის ნაკლებობა, ეთიკის პრინციპების

---

<sup>1</sup> <http://www.freedomhouse.org/report/freedom-press/2013/georgia#.UzGDn6hdUTs>

უგულებელყოფა - ეს იმ პრობლემების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც ქართულ მედიაში ამჟამად არსებობს.

## 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები და მედია

2012 წელი მნიშვნელოვანი წელი იყო ქართული მედიისთვის. საპარლამენტო არჩევნების წინ, საკმაოდ საინტერესო და დამაბული საინფორმაციო კამპანიის ფონზე, გამოჩნდა „მეცხრე არხი“, სამოქალაქო საზოგადოების დიდი აქტიურობის შემდეგ, ამოქმედდა Must Offer-სა და Must carry -ის პრინციპები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საზოგადოების ინფორმირებულობასა და სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებზე ხელმისაწვდომობას. წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა ჟურნალისტებზე ზეწოლისა და მათთვის ხელის შეშლის ფაქტებიც. მედიაგარემოში განსაკუთრებული ხმაური გამოიწვია ცესკოს დადგენილებამ, რომლის მიხედვითაც, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დღეს მედიას მნიშვნელოვნად შეეზღუდა საარჩევნო უბანზე მუშაობა.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, მედიაგარემო გაცილებით უფრო პოლარიზებული იყო. საპარლამენტო არჩევნების დროს მედიასაშუალებების პოლიტიკური ნიშნით დაყოფის შესახებ არაერთმა საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციამ აღნიშნა თავის ანგარიშში.<sup>2</sup>

პოლარიზაცია კიდევ უფრო გაამძაფრა მედიასივრცეში ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ გამოჩენამ. მეცხრე არხმა, რომლის თანამფლობელიც მაშინდელი ოპოზიციური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის მეუღლე იყო, მაუწყებლობა 2012 წლის 1 მაისს დაიწყო. არხი მაუწყებლობდა სატელევიზო პროვაიდერ გლობალ TV-ს მეშვეობით, რომელიც ფუნქციონირებდა საკაბელო პროვაიდერის მსგავსად. კომპანიის მფლობელი ბიძინა ივანიშვილის ძმა იყო.

საპარლამენტო არჩევნების წინ, თავისუფალი მედიაგარემოს არსებობისთვის უმნიშვნელოვანესი იყო Must Carry-სა და Must Offer-ის პრინციპების ამოქმედება. ეს წესი საკაბელო ოპერატორებს ავალდებულებდა, წინასაარჩევნო პერიოდში გადაეცათ მთელი საქართველოს მასშტაბით მაუწყებელი არხები, ასევე, ის სათემო მაუწყებლები, რომლებიც ამ ოპერატორების დაფარვის ზონაში მაუწყებლობენ და ის

<sup>2</sup> <http://www.osce.org/ka/odihr/elections/93622>

ტელევიზიები, რომლებიც ხელმისაწვდომია საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 20%-ისთვის. თავის მხრივ, სატელევიზიო არხები ვალდებული იყვნენ, საკაბელო ოპერატორებისთვის თავიანთი სიგნალი მიეწოდებინათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პრინციპების ამოქმედება სამოქალაქო საზოგადოების განსაკუთრებული აქტიურობის შედეგია. საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, სამოქალაქო სექტორმა წამოიწყო კამპანია „ეს შენ გეხება“.<sup>3</sup> კამპანიის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა და მესიჯი სწორედ Must Carry-სა და Must Offer-ის პრინციპების ამოქმედება იყო. ეს საკმაოდ წარმატებული კამპანია 2014 წელსაც გაგრძელდა, თუმცა უკვე ახალი მესიჯით: „ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ“. ამჯერად კამპანია უკანონო ფარულ მოსმენებს ეხება.

თავდაპირველად, Must Carry-სა და Must Offer-ის პრინციპები მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში (არჩევნებამდე 60 დღის განმავლობაში) მოქმედებდა, თუმცა 2013 წელს მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებებით, Must Carry-სა და Must Offer-ის პრინციპები მუდმივად სავალდებულოდ შესასრულებელი გახდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ამოქმედებულმა Must Carry-სა და Must Offer-ის პრინციპებმა, რეგიონებში მოსახლეობის საინფორმაციო წყაროებზე ხელმისაწვდომობის კუთხით, ფონი დიდად ვერ შეცვალა, რადგან როგორც ცნობილია, საკაბელო ოპერატორები ძირითადად მოქმედებენ საქართველოს მსხვილ ქალაქებში. რეგიონებში კი, მოსახლეობის თითქმის 50 % - სთვის ალტერნატიული ინფორმაციის მიღების ერთადერთ საშუალებად კვლავ სატელიტური ანტენები რჩებოდა.

ამ პრობლემის გამო, საკაბელო კომპანია „გლობალ TV“ -მ აპრილში რეგიონებში სატელიტური ანტენების მონტაჟი დაიწყო. კომპანია, რომლის მფლობელიც „ქართული ოცნების“ მაშინდელი ლიდერის ბიძინა ივანიშვილის ძმა იყო, მოსახლეობას სატელიტურ ანტენებზე შეღავათიან განვადებას სთავაზობდა - მოსახლეობას ანტენები დაუმონტაჟდებოდა, მათ კი ანტენის საფასური მომდევნო 9 წლის განმავლობაში ეტაპობრივად უნდა დაეფარათ.

2012 წლის ივნის-ივლისში მაშინდელმა ხელისუფლებამ (ნაციონალურმა მოძრაობამ) გლობალ TV-ს სატელიტური ანტენები დააყადაღა. კონტროლის პალატამ ამ საქმესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ივანიშვილის ფინანსების გამოყენებით „გლობალ TV“-ის მიერ კლიენტებისთვის სატელიტური ანტენების „უფასოდ“ დაყენება პარტიების დაფინანსების შესახებ კანონის დარღვევა იყო, რადგან ეს იყო ამომრჩევლების მოსყიდვა. კონტროლის პალატამ განაცხადა, რომ ამგვარი ქმედება

<sup>3</sup> <http://esshengexeba.ge/>

ნიშნავდა ამომრჩევლებისთვის 12 622 019 ლარის ღირებულების საჩუქრების დარიგებას. კონტროლის პალატის გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლომ და შემდეგ სააპელაციო სასამართლომაც გაიზიარეს და ივანიშვილს საბოლოო ჯამში 63.1 მილიონი ლარის ჯარიმა დააკისრეს.

გარდა ამისა, 2012 წლის ზაფხულში ტელეკომპანია „მაესტრომ“, მაუწყებლობის გაფართოების მიზნით, ახალი პროექტი - „მაესტრო ყველა ოჯახში“ წამოიწყო. „მაესტრო“ თავისი სატელიტური თევზების მონტაჟს საქართველოს ყველა რეგიონში გეგმავდა, მაგრამ პროკურატურის შუამდგომლობისა და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, 2012 წლის 11 ივლისს, „მაესტროს“ დიდი რაოდენობის სატელიტური ანტენები და სხვა ტექნიკური საშუალებები საბაჟო ტერმინალში დააყადაღეს.

პროკურატურის განცხადების თანახმად, „სატელევიზიო ანტენების უსასყიდლოდ გადაცემით ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტებზე, 2012 წლის 20 ივნისს დაწყებული გამოძიების ფარგლებში, დადგენილ იქნა, რომ პოლიტიკური ორგანიზაცია „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული კომპანია „ელიტა ბურჯის“ ხელმძღვანელ პირთა დავალებით, კომპანია „მაესტრომ“ საქართველოში შემოიტანა დიდი ოდენობით ანტენები. გამოძიების ხელთ არსებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ აღნიშნული ანტენები კვლავ გამოყენებული იქნება მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ გადასაცემად იმავე სქემით, როგორც ეს უკვე განხორციელდა ბოლო დროის განმავლობაში „გლობალ TV-ს მიერ“.

„მაესტროს“ მენეჯმენტი კატეგორიულად უარყოფდა „ელიტ ბურჯთან“ რაიმე სახის კავშირს და ამბობდა, რომ აპარატურა ტელეკომპანიის მფლობელთა ფინანსური რესურსით შემოდიოდა.

რაც შეეხება უშუალოდ საარჩევნო დღეს, სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ უბნებზე ჟურნალისტებისთვის ხელისშეშლის არაერთი ფაქტიც დაფიქსირდა. საარჩევნო უბნებზე ჟურნალისტებისთვის ხელის შეშლის ფაქტები დიდწილად ცესკოს იმ ახალი დადგენილებითაც იყო განპირობებული, რომელიც მედიის წარმომადგენლებს უბანზე მუშაობისას გარკვეულ შეზღუდვებს უწესებდა. მიღებული დადგენილების თანახმად, ოპერატორებს და ფოტოგრაფებს, ასევე დამკვირვებლებს და პარტიების წარმომადგენლებს არაუმეტეს 10 წუთი შეეძლოთ ერთ საარჩევნო უბანზე თავისუფალი გადაღება, ხოლო 10 წუთის გასვლის შემდეგ, ისინი ვალდებული იყვნენ თუ სურდათ, რომ მთელი დღის განმავლობაში სტაციონარული ვიდეოგადამღები აპარატიდან ეწარმოებინათ გადაღება, დაეკავებინათ კომისიის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული ადგილი. თუ ამ რეჟიმში მყოფი პირი კამერით გადაადგილდებოდა ან დატოვებდა კენჭისყრის შენობას, კარგავდა ფოტო-ვიდეოგადამღების წარმოების უფლებას.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა საარჩევნო დღეს უბნებზე დააფიქსირეს, რომ დადგენილების შინაარსი ბუნდოვანი და გაუგებარი იყო როგორც ჟურნალისტების, ისე საარჩევნო კომისიის წევრების ნაწილისთვისაც, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში იზღუდებოდა ჟურნალისტის უფლება, გაეშუქებინა ხმის მიცემის პროცედურა, ან პირიქით, ჟურნალისტი ითხოვდა ისეთ რამეს (მაგალითად კაბინის, სამაგიდო სიის გადაღებას) რაც დადგენილებით აკრძალული იყო. ეს ყოველივე უბნებზე იწვევდა ხმაურს და არეულობას და ხელს უშლიდა ხმის მიცემის პროცედურის მშვიდ ვითარებაში წარმოებას.

2012 წლის არჩევნების შემდეგ, მედიაგარემოში მეტი თავისუფლება შეინიშნება. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს მედიაგარემო აღარ იყო ისეთი მკვეთრად პოლარიზებული პოლიტიკური ნიშნით, როგორც საპარლამენტო არჩევნებისას.

## **მედია არჩევნიდან არჩევნებამდე - მეცხრე არხის დახურვა, ახალი ტელევიზიები**

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ანუ მას შემდეგ რაც ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური ძალა - "ქართული ოცნება" მოვიდა, მაშინდელმა პრემიერმინისტრმა და გუნდის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მისი მეუღლის მფლობელობაში არსებული ტელევიზია - „TV9“ უხერხულობას უქმნიდა და მას გაყიდდა. თუმცა, ტელევიზია ვერ გაიყიდა. 2013 წლის აგვისტოს თვეში, საპრეზიდენტო არჩევნებიდან რამდენიმე თვით ადრე, ივანიშვილმა განაცხადა, რომ თუ ტელევიზია 1 სექტემბრამდე ვერ გაიყიდებოდა, ის მას დახურავდა. ბიძინა ივანიშვილის განცხადებიდან რამდენიმე საათში არხის თანამშრომლებმა და მენეჯმენტმა არხი თავად გათიშეს მაუწყებლობიდან.

„მეცხრე არხის“ დახურვის შემდეგ მედიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა, სააქციო საზოგადოება „ტელევიზია“ შექმნეს, რომლის დამფუძნებლებიც „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელი“ ია ანთაძე, „მეცხრე არხის“ წამყვანი ვასილ მაღლაფერიძე და ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შვილი, ცოტნე გამსახურდია არიან. „ტელევიზიამ“ ბიძინა ივანიშვილს „მეცხრე არხის“ კუთვნილი ტექნიკის გადაცემა სთხოვა. პრემიერ-მინისტრი ტექნიკის გადაცემაზე დათანხმდა და ახალი ტელევიზია მაუწყებლობის დაწყებას 2014 წლიდან გეგმავდა. ჯერჯერობით გაურკვეველია, დაიწყებს თუ არა ახალი ტელევიზია მაუწყებლობას. იმ სამაუწყებლო სიხშირეზე კი, რომელსაც ადრე „მეცხრე არხი“ იყენებდა, ახლა ტელეკომპანია GDS მაუწყებლობს.

GDS - ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის ვაჟის, ბერა ივანიშვილის ტელევიზიაა. არხის პროფილი, ძირითადად, გასართობი მაუწყებლობაა.



თავდაპირველად, სამაუწყებლო არხი სატელიტური კომპანია „გლობალ TV“-ის მეშვეობით გადაიცემოდა, 2013 წლის ივლისიდან კი, ის ტელეკომპანია „მზისა“ და „პირველი სტერეოს“ სიხშირეზე მაუწყებლობს და მისი ყურება ნებისმიერ მაყურებელს ჩვეულებრივი ანტენითაც შეუძლია. ამჟამად ტელეკომპანიის დაფარვის ზონა თბილისი და საქართველოს ყველა დიდი ქალაქია.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ტელეკომპანია „რეალ TV“-ის ბაზაზე კიდევ ერთი ახალი ტელეკომპანია, „TV3“ შეიქმნა. ის ეთერში 2013 წლის გაზაფხულზე გავიდა. „TV3“-ს გადაეცა „რეალტივი-საქართველოს“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია. ტელეკომპანია საკაბელო ქსელით მაუწყებლობს.

საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ქართულ მედიასივრცეში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა - არჩევნებიდან 15 დღეში ტელეკომპანია „იმედი“ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა დაიბრუნა. „იმედის“ ცნობით, ძველ და ახალ მფლობელებს შორის შეთანხმების საფუძველზე ტელეკომპანია მის პირველ მეპატრონეს დაუბრუნდა. შეთანხმების დეტალები, თუ რის საფუძველზე დაუბრუნდა „იმედი“ მისი პირვანდელი მფლობელის ოჯახს, საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია.

## 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და მედია

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანია საკმაოდ მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა, მედიაგარემოც ნაკლებ პოლარიზებული იყო და საარჩევნო კამპანიაც მეტნაკლებად დაბალანსებულად და ობიექტურად შუქდებოდა. ეს კი, დიდწილად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ვითარების დასტაბილურებამ და ქვეყანაში პოლიტიკური ტემპერატურის დაწევამ გამოიწვია. წინასაარჩევნო პერიოდში, 2012 წლის არჩევნებისგან განსხვავებით, სახელმწიფოს მხრიდან ჟურნალისტებზე ზეწოლის, მათთვის ხელის შეშლის, ან ნებისმიერი ფორმით ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევის ფაქტები არ დაფიქსირებულა.

სექტემბრის დასაწყისში საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ და სლოგაკურმა მედიაორგანიზაცია - MEMO 98<sup>4</sup> -მა წარადგინეს მედიის წინასაარჩევნო ქცევის კოდექსი. კოდექსი ზოგადად განსაზღვრავს იმ სტანდარტებსა და პრინციპებს, რომლითაც მედიამ უნდა იხელმძღვანელოს არჩევნების პერიოდში. ის შექმნილია საერთაშორისო დოკუმენტებისა და მითითებების საფუძველზე და მასში ძირითადი

<sup>4</sup> <http://www.memo98.sk/en/>

ყურადღება ექცევა ევროპის საბჭოს, ეუთოსა და იმ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, რომლის წევრიც საქართველოა. ამ სტანდარტების ერთად თავმოყრის ძირითადი მიზანი იყო, დაეხმარებოდა ჟურნალისტებს არჩევნების პერიოდში პროფესიული სტანდარტების გაუმჯობესებაში. დღემდე ამ კოდექსს ხელი ხუთმა სატელევიზიო არხმა მოაწერა (საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი, მაესტრო და აჭარის ტელევიზია). ისინი ნებაყოფლობით შეთანხმდნენ კოდექსით განსაზღვრული დებულებების დაცვაზე.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიამონიტორინგი ჩაატარა. მედიამონიტორინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ კოდექსზე ხელმომწერი ხუთივე მაუწყებელი მთლიანობაში იცავდა ქვევის კოდექსის ძირითად პრინციპებს. იყო მხოლოდ მცირედი გამონაკლისი, როდესაც მაუწყებლებმა სრულად არ იხელმძღვანელებს ამ პრინციპებით.

საქართველოში ჩატარებულმა სხვადასხვა მედიამონიტორინგმა ცხადყო, რომ 2013 წლის არჩევნების გაშუქებისას, კვლავაც ჰქონდა ქართულ მედიას გარკვეული პრობლემები პროფესიონალიზმის კუთხით. მაგალითად, კამპანიის გაშუქებისას, ჟურნალისტები მხოლოდ ფაქტებს აღწერდნენ, ან ახდენდნენ კანდიდატების განცხადებების ტირაჟირებას. შეინიშნებოდა ანალიტიკური, სიღრმისეული გაშუქების ნაკლებობა. ასევე, ჟურნალისტები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, კანდიდატებს არ უსვამდნენ საინტერესო, კრიტიკულ კითხვებს და არ გამოჰქონდათ სხვადასხვა საინტერესო საგანი სადისკუსიოდ.

„ამომრჩევლები უზრუნველყოფილი იყვნენ ინფორმაციის მრავალფეროვანი სპექტრით არჩევნებში მონაწილე სხვადასხვა კანდიდატების შესახებ, რის საფუძველზეც შესაძლებელი იყო ინფორმირებული არჩევანის გაკეთება. თუმცა, ამავე დროს იყო ნაკლებობა ანალიტიკური და სიღრმისეული გადაცემებისა, რომელსაც შეეძლო დახმარებოდა ამომრჩევებს არჩევნებში მონაწილე კანდიდატების თვისებებისა და მათი პროგრამების უკეთესად შეფასებაში. მედია საშუალებებმა თავიანთი საინფორმაციო პროგრამების არსებითი ნაწილი მთავრობისა და ორი ძირითადი პარტიის – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ ღონისძიებებს დაუთმეს. საინფორმაციო პროგრამებში ყურადღება უმეტესწილად საარჩევნო კამპანიის აქციების გაშუქებას ეთმობოდა.“ - აღნიშნულია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საარჩევნო მედიამონიტორინგის ანგარიშში.<sup>5</sup>

2013 წლის არჩევნების დროს, კვლავაც მოქმედებდა Must Offer-სა და Must carry - ის პრინციპები, რომელიც პირველად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისას ამოქმედდა. ამ პრინციპების ამოქმედებამ ხელი შეუწყო იმას, რომ მოსახლეობას, წინა წლებთან შედარებით უკეთესი ხელმისაწვდომობა ჰქონდა სხვადასხვა სახის

<sup>5</sup> <http://qartia.org.ge/?p=2196>

საინფორმაციო წყაროზე. საკაბელო ოპერატორებმა შეასრულეს მათზე 2012 წელს დაკისრებული სავალდებულო ტრანზიტის (Must Offer/Must carry) ვალდებულება, რომლის მიხედვითაც, ოპერატორებს ქსელში ყველა საერთო მაუწყებელი უნდა ჩაერთოთ. რეგიონების მოსახლეობას ხელი მიუწვდება უფრო მეტ საინფორმაციო არხსა და მრავალფეროვან ინფორმაციაზე, ვიდრე ეს 2012 წლის არჩევნების დროს ხდებოდა. მაგალითად, „მაესტრო“ და „ტაბულა“ მოსახლეობისთვის უკვე ჩვეულებრივი ანტენითაც ხელმისაწვდომია. ეს ტელევიზიები სხვა არხების სამაუწყებლო სიხშირეებს იყენებენ, რომლებიც თავად არმაუწყებლობენ. პრემიერ-მინისტრის ოჯახის კუთვნილი „მეცხრე არხის“ სიგნალიც, დახურვამდე, („მეცხრე არხმა“ 2013 წლის აგვისტოში შეწყვიტა მაუწყებლობა) სატელევიზიო ანტენით იყო ხელმისაწვდომი.

ზოგადი ტენდენცია, რაც ქართულ მედიაგარემოში გარდამავალ პერიოდში შეინიშნება, არის მაუწყებლებზე პოლიტიკური ნიშნით პოლარიზაციის შესუსტება. ამის შესახებ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოც“ აღნიშნავს თავის ანგარიშში: <sup>6</sup> „2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, მსხვილი ტელეარხები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი პოლიტიკურ პარტიებთან და მათგან (როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან,“ ასევე კოალიცია „ქართული ოცნებისგან“) პირდაპირი და არაპირდაპირი გზებით დაფინანსებასაც იღებდნენ. 2013 წელს კი მდგომარეობა შეიცვალა და ტელევიზიებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის მსგავსი ურთიერთობა აღარ შეინიშნება. თუ შარშან რამდენიმე ტელევიზია პოლიტიკურად სენსიტიურ მოვლენებს ერთმანეთთან შეთანხმებულად აშუქებდა, ახლა, ტელეარხები დამოუკიდებლად მოქმედებენ და ცდილობენ ერთმანეთს კონკურენცია გაუწიონ.“

ბოლო პერიოდში საზოგადოებაში ხმაური გამოწვია „TV MR საქართველოს“ გარშემო შექმნილმა სიტუაციამ, („TV MR საქართველო“ არის კომპანია, რომელიც მაუწყებლების რეიტინგების კვლევებს აწარმოებს). კომპანიაში შემოსავლების სამსახურმა შემოწმება 2014 წლის 24 თებერვალს დაიწყო. სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა ინვენტარიზაციის დასრულების შემდეგ, ორგანიზაციას „ფიფლმეტრების“ განთავსების ადგილის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სთხოვა, რაზეც უარი მიიღო. კომპანიამ მიიჩნია, რომ კვლევაში მონაწილე პირების ინფორმაციის გაცემით კვლევის სანდოობა საეჭვო გახდებოდა. შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის დაუმორჩილებლობის შედეგად, კომპანია 800 ლარით დაჯარიმდა. არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა შემოსავლების სამსახურის მოთხოვნა უკანონოდ მიიჩნია და ამის შესახებ სპეციალური ერთობლივი განცხადებაც გაავრცელა.<sup>7</sup> არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, თუ

<sup>6</sup> <http://transparency.ge/en/node/3502>

<sup>7</sup> <http://www.media.ge/ge/portal/news/302439/>

ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის ხელისუფლებას ეცოდინება „ფიფლმეტრების“ მდებარეობა, მაშინ კვლევაში მონაწილე ოჯახების მეშვეობით კვლევის შედეგებით მანიპულირების საშიშროება გაჩნდება: „თუ ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის ხელისუფლებას, კვლევაში მონაწილე ოჯახების მისამართებზე ექნება წვდომა, ჩნდება საშიშროება, რომ ისინი შეეცდებიან კვლევის შედეგებით მანიპულირებას, რაც შეიძლება კვლევაში მონაწილე ოჯახების თვითცენზურაშიც გამოიხატოს, რის შედეგადაც ისინი კრიტიკულად განწყობილი არხების ყურებისგან თავს შეიკავებენ. აუდიტორიის კვლევების გარეშე კი, შეუძლებელია სატელევიზიო რეიტინგების ობიექტურად გაზომვა და, შესაბამისად, სარეკლამო სააგენტოებისთვის და უშუალოდ რეკლამის განმთავსებლებისთვის სანდო რეიტინგების მიწოდება, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სატელევიზიო ბიზნესის ფინანსურ კოლაფსს“ - აღნიშნულია სამოქალაქო სექტორის ერთობლივ განცხადებაში.

## საზოგადოებრივი მაუწყებლის კრიზისი

2012 წლის დეკემბერში, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი, გაია ჭანტურია, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მიმართ ლოიალურად განწყობილ პირად ითვლებოდა, თანამდებობიდან გადადგა. 26 დეკემბერს სამეურვეო საბჭომ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე გიორგი ბარათაშვილი აირჩია. ამ თანამდებობამდე ბარათაშვილი ტელევიზიაში ტექნიკურ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

თანამდებობაზე არჩევის შემდეგ, ბარათაშვილი ორჯერ დაითხოვეს სამსახურიდან. სამეურვეო საბჭომ პირველად ის 2013 წლის მარტის თვეში გაათავისუფლა. საბჭოს ამ გადაწყვეტილებამდე რამდენიმე დღით ადრე კი, თავად ბარათაშვილმა გაათავისუფლა სამსახურიდან საზოგადოებრივ-პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსი ხათუნა ბერძენიშვილი. გაათავისუფლების შემდეგ, ბერძენიშვილმა ბარათაშვილი ზეწოლაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ მისი გაათავისუფლება პოლიტიკურად იყო მოტივირებული. ბერძენიშვილის თქმით,<sup>8</sup> მას ბარათაშვილმა ფული შესთავაზა და სანაცვლოდ მოსთხოვა მთავრობისადმი კრიტიკული სიუჟეტები აღარ მოემზადებინა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური დეპარტამენტის ყოფილი უფროსი პოზიციების დათმობას არ აპირებდა და საკითხის განხილვის მოთხოვნით სამეურვეო საბჭოს მიმართა.

სამეურვეო საბჭომ გენერალურ დირექტორს უნდობლობა გამოუცხადა და იგი სამსახურიდან გაათავისუფლა. მოვალეობის შემსრულებლად გიორგი ბაქრაძე

<sup>8</sup> <http://old.media.ge/stories/khatunaberdzenishvilimi>

დაინიშნა. საბჭოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ეს გადაწყვეტილება მაუწყებლის პოლიტიკური გავლენისა და რეპუტაციის შელახვისაგან დაცვას ემსახურებოდა და ამ გზით, საბჭო თავისი ვალდებულების შესრულებას ცდილობდა.

ბარათაშვილმა თავისი უფლებების დასაცავად სასამართლოს მიმართა. სასამართლომ კი, საბჭოს ეს გადაწყვეტილება უკანონოდ ცნო და ბარათაშვილი გენერალური დირექტორის თანამდებობაზე აღადგინა.

სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, ბარათაშვილის სამსახურში აღდგენიდან რამდენიმე თვეში საბჭომ ის მეორედ გაათავისუფლა გენერალური დირექტორის თანამდებობიდან. საბჭო, ამ გადაწყვეტილების მიზეზად იმას ასახელებდა, რომ ბარათაშვილმა საბჭოს მაუწყებლის ბიუჯეტისა და არხის პრიორიტეტების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია არ მიაწოდა. საგულისხმოა ისიც, რომ 2013 წლის 1 სექტემბერს სამეურვეო საბჭოს 13 წევრიდან ოთხს ვადა ამოეწურა. თუმცა, საბჭომ ბარათაშვილის გადასაყენებლად საკმარისი ხმების შეგროვება მაინც მოასწრო. მის თანამდებობიდან გადაყენებას საბჭოს დარჩენილმა ცხრავე წევრმა დაუჭირა მხარი. სამეურვეო საბჭომ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად თამაზ ტყემალაძის კანდიდატურა დაამტკიცა. მის კანდიდატურას სამეურვეო საბჭომ მხარი 8 ხმით დაუჭირა. რადგან სამეურვეო საბჭოში დარჩენილ პირთა ოდენობა არასაკმარისი იყო გენერალური დირექტორის დასანიშნად, ტყემალაძე მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. ბარათაშვილმა კი, თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნით სასამართლოს ისევ მიმართა.

თანამდებობაზე არჩევიდან მალევე, ტყემალაძის გადაწყვეტილებებს საზოგადოებაში ხმაური მოჰყვა. მან არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, ეკა კვესიტაძისა და დავით პაიჭაძის პოლიტიკური ტოკ-შოუები დახურა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორივე ჟურნალისტი საზოგადოებაში „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ ლოიალურად, ხოლო „ქართული ოცნების“ მიმართ კრიტიკულად განწყობილ ჟურნალისტებად ითვლებოდა. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციამ ტყემალაძის ეს გადაწყვეტილება პოლიტიკურად მოტივირებულად შეაფასა.

ტყემალაძემ ასევე უარი თქვა, წინასაარჩევნო პერიოდში „ქართული ოცნების“ კრიტიკის შემცველი „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური რეკლამების ეთერში გაშვებაზე. როგორც ტყემალაძემ განაცხადა: „რეკლამა სხვისი ანტირეკლამა კი არ უნდა იყოს, თავის თავზე თქვან, რა ვაჟკაცები არიან, რა გააკეთეს და „ოცნებამ“ რა არ გააკეთა, ამას ეთერში არ მივცემ“.

პარალელურად, კრიზისი იმანაც გაამწვავა, რომ სექტემბრის თვეში საბჭოში დარჩენილი 9 პირიდან, საბჭო კიდევ ორმა დატოვა. მათი თქმით, ისინი პოლიტიკურ



ზეწოლას განიცდიდნენ, თუმცა არ დაუკონკრეტებიათ ვისი მხრიდან, ან რა სახის იყო ეს ზეწოლა. შედეგად, საბჭოში შვიდი წევრი დარჩა, რითიც საბჭოს კვორუმი აღარ ჰქონდა, რათა ახალი გენერალური დირექტორი დაენიშნა, ან მიეღო სხვადასხვა გადაწყვეტილება არხის ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით, რადგანაც გადაწყვეტილებების მიღებას 8 ხმა ჭირდებოდა. საბჭო ფაქტობრივად, უფუნქციო და სიმბოლური გახდა.

ამ ყველაფერს თან მიმე ფინანსური პრობლემებიც დაერთო. არხი ვერ ამზადებდა ახალ პროგრამებს, რადგან ამისთვის საჭირო თანხები ბიუჯეტში არ იყო. შესაბამისად, წინასაარჩევნოდ, არხმა ვერ შეძლო შესაბამისი რესურსების გამოყოფა და მრავალფეროვანი გადაცემების მომზადება კანდიდატებისა და მათი პროგრამების სრულფასოვანი გაშუქებისა და სიღრმისეული ანალიზისათვის.

პარალელურად, მიმდინარეობდა სასამართლო პროცესები გიორგი ბარათაშვილის თანამდებობიდან მეორედ გათავისუფლების შესახებ. სასამართლომ გიორგი ბარათაშვილი საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე 2013 წლის დეკემბერში მეორედ აღადგინა<sup>9</sup>.

აქვე აღსანიშნავია, რომ თანამდებობიდან განთავისუფლებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ ხათუნა ბერძენიშვილი ქ. თბილისის მერმა, „ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გიგი უგულავამ კრწანისის რაიონის გამგებლად დანიშნა.

გარდა ამისა, არაერთხელ შევიდა ცვლილებები კანონში მაუწყებლობის შესახებ. პირველად ვერსიას ვეტო მაშინდელმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაადო. პარლამენტმა ვეტოს დაძლევა 2013 წლის ივლისში შეძლო. ცვლილებებით, შეიცვალა სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების წესი, ასევე აჭარის ტელევიზიის სტატუსი. შემცირდა საბჭოს წევრების რაოდენობა 15-დან 9-მდე, რომელთა მანდატი განისაზღვრა არაუმეტეს 6 წლით. ცვლილებებით, პრეზიდენტი გამოეთიშა ბორდის წევრების არჩევის პროცესს.

შეტანილი ცვლილებების თანახმად, საბჭოს წევრობის სამ კანდიდატს საპარლამენტო უმრავლესობა წარადგენს, სამს კი - პარლამენტის დანარჩენი დეპუტატები, ორი წევრი სახალხო დამცველის მიერ იქნება დასახელებული; დარჩენილ ერთ ადგილზე კანდიდატს კი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო. .

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ძალაში უკვე შესულია, სამეურვეო საბჭოს ბოლომდე დაკომპლექტება დღემდე ვერ ხერხდება. ამ დროისთვის პარლამენტმა მაუწყებლის

<sup>9</sup> <http://www.media.ge/ge/portal/news/301954/>

მხოლოდ ოთხი მეურვე დაამტკიცა - სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი - მარინე მუსხელიშვილი და ლელა გაფრინდაშვილი, საპარლამენტო უმცირესობის მიერ დასახელებული - ქეთევან მსხილაძე და საპარლამენტო უმრავლესობის მიერ წარდგენილი - ნათელა სახოკია. წინა კონკურსის დროს საპარლამენტო უმრავლესობამ საკუთარი კვოტა სრულად არ გამოიყენა და ვაკანტურ თანამდებობაზე მეურვეობის 2 კანდიდატი არ დაასახელა. ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ დასახელებულმა კანდიდატმა. პირველი კონკურსის შემდეგ 9 წევრიან სამეურვეო საბჭოში ვაკანტური დარჩა 5 მეურვის თანამდებობა.

კანონმდებლობის მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებლის მინიმუმ 7 წევრით დაკომპლექტებამდე საბჭო ქმედუნარიანი არაა. შესაბამისად, ვერ ამტკიცებს პროგრამულ პრიორიტეტებს და ვერ ახორციელებს მასზე დაკისრებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 5 ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი გამოაცხადა. უსუფაშვილმა კონკურსის გამოცხადების გადაწყვეტილება 2014 წლის 11 მარტს მიიღო. საბჭოს წევრობის კანდიდატების შერჩევის პროცესი ამ დრომდე გრძელდება.

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შექმნის წინაპირობა გახდა პარლამენტის მიერ 1999 წლის 23 ივლისს მიღებული საქართველოს კანონი კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ. დებულების თანახმად, კომისია საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მუდმივმოქმედ დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენს. იგი არც ერთ სახელმწიფო უწყებას არ ექვემდებარება და არ ფინანსდება ბიუჯეტიდან. მისი შემოსავლის წყარო ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული პირების და ლიცენზიის მფლობელი ორგანიზაციების მიერ გადახდილი რეგულირების საფასურია. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია არეგულირებს ქვეყნის ტელეკომუნიკაციას და სამაუწყებლო მედიას და გასცემს ლიცენზიებს.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ბევრი შეკითხვა და ეჭვი გაისმა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მისართით. კომისიას ბრალს სდებდნენ პოლიტიკური გავლენის ქვეშ ყოფნაში, კომისიის თავმჯდომარეს კი, აკრიტიკებდნენ, წინა წლებში სატელევიზიო-საეთერო დროის ვაჭრობის ბიზნესში წილის

ფლობისთვის და ამ წილის შენარჩუნებისთვის იმ კომპანიაში, რომელიც ახორციელებს რეკლამის დამზადებას და განთავსებას, მათ შორის სამაუწყებლო მედიაში.

2013 წლის მაისში პარლამენტში კომისიის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამომიებო კომისია შეიქმნა. კომისიის წევრები იყვნენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები - თამარ კორძია, ანი მიროტაძე, ერეკლე ტრიპოლსკი, ირაკლი ჩიქოვანი, პაატა კიკნაველიძე და უმცირესობის წევრები - სერგო ხაბულიანი, პაატა ლეჟავა, ლევან ბეჟაშვილი, გიორგი კარბელაშვილი, გურამ მისაბიშვილი, რევაზ შავლობაშვილი, ზურაბ ჩილინგარაშვილი, დავით საყვარელიძე. კომისიას საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი ხელმძღვანელობდა. კომისიამ მუშაობა 2013 წლის ოქტომბრის ბოლოს დაასრულა. მათი დასკვნის მიხედვით, მარეგულირებელი კომისია ბიუჯეტს არაადეკვატურად ხარჯავდა. როგორც საგამომიებო კომისიის დასკვნაშია აღნიშნული, GNCC-ის მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 63% შრომითი ანაზღაურებისთვის აქვს გამოყოფილი, საიდანაც დაახლოებით 46% ხუთი კომისიონერის ხელფასისთვის იხარჯება. თითოეული წევრის ჰონორარი თვეში დაახლოებით 13 ათასი ლარია. საგამომიებო კომისიის შეფასებით, სწორედ არასწორი საბიუჯეტო პოლიტიკის შედეგია ის გარემოება, რომ GNCC-ის არ შეუძლია განახორციელოს მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია - სამაუწყებლო ლიცენზიების მფლობელი კომპანიების მონიტორინგი.

რაც შეეხება მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეს ირაკლი ჩიქოვანს, რომელიც კომისიას 2009 წლიდან თავმჯდომარეობდა, მან 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჯერ სამთვიანი შვებულება აიღო საქართველო დატოვა, შემდეგ კი თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადება დაწერა. მის მიმართ გამუდმებით ისმოდა ბრალდებები, რომ მას ჰქონდა გარკვეული ბიზნესინტერესები, რაც ქმნიდა ინტერესთა კონფლიქტს და ხელს უშლიდა მისი, კომისიის თავმჯდომარის პოზიციაზე განსახორციელებელ საქმიანობას. ირაკლი ჩიქოვანი კომისიის წევრად არჩევამდე “რუსთავი 2“-ის დირექტორი და მეწილე იყო. ის თანამდებობაზე ყოფნის პარალელურად, იყო სარეკლამო კომპანია „მაგისტილის“ დამფუძნებელი და თანამფლობელი. კომპანია კი, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე რეგულირდებოდა კომისიის მიერ, რაც სამოქალაქო სექტორის დიდი ნაწილის აზრით, ქმნიდა ინტერესთა კონფლიქტს.

ჩიქოვანის მიმართ კიდევ ერთი ბრალდება 2013 წლის 6 ნოემბერს, კომისიის ყოფილი თანამშრომლის გიორგი რატიშვილის მიერ აუდიოჩანაწერის გამოქვეყნების შემდეგ გაისმა. რატიშვილმა ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერით ირაკლი ჩიქოვანის აუდიო ჩანაწერი გაავრცელა და კომისიის თავმჯდომარე „კავკასუს ონლაინის“ მიერ ჩადენილი კანონდარღვევის დაფარვაში დაადანაშაულა. ამ ჩანაწერში ჩიქოვანი



„კავკასუს ონლაინის“ წარმომადგენლებს ხელშეკრულების ძველი რიცხვით დარეგისტრირებას სთავაზობდა. თავად ჩიქოვანი ყველანაირ ბრალდებას, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის არსებობას კატეგორიულად უარყოფდა.

ჩიქოვანის გადადგომის შემდეგ, მაშინდელმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად კარლო კვიციანიშვილი დანიშნა. პარლამენტის დღისწესრიგში მალევე დადგა მისი იმპიჩმენტის საკითხი. პარლამენტის წევრები აპელირებდნენ იმაზე, რომ „მაუწყებლობის შესახებ კანონში“ წერია, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს რომელიმე პარტიის წევრი. საპარლამენტო უმრავლესობის თქმით, კვიციანიშვილი კომუნიკაციების კომისიის წევრობის პარალელურად იყო „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. თავად კვიციანიშვილი ამბობდა, რომ ის არასოდეს ყოფილა ნაციონალური მოძრაობის წევრი, ის უბრალოდ წარმოადგენდა ამ პარტიას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. 2013 წლის 1 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა 94 ხმით არცერთის წინააღმდეგ ერთხმად დაუჭირა მხარი თანამდებობიდან მის გადაყენებას.

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მიხედვით, GNCC-ის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად თავმჯდომარის გადადგომის, ან არყოფნის, ან მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში კომისიის უხუცესი წევრი ინიშნება. ამ შემთხვევაში კომისიის ასეთი წევრი აკაკი სიხარულიძეა. შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად სწორედ ის დაინიშნა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრების თანამდებობაზე კონკურსი კი საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა 2013 წლის 20 ნოემბერს გამოაცხადა და პროცესი ამ დრომდე არ დასრულებულა.

## ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა

ტელეკომუნიკაციათა საერთაშორისო კავშირსა (ITU) და ევროკავშირთან (EU) 2006 წელს მიღწეული შეთანხმების თანახმად, საქართველო ვალდებულია 2015 წლის ივნისისთვის დაასრულოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი. ქართული არხები მაუწყებლობას ამჟამად ე.წ. ანალოგური სიგნალით ავრცელებენ. აღნიშნული სიხშირე შეზღუდული და ამოწურვადია. სწორედ ამიტომ, საჭირო გახდა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა, რაც უფრო მეტი არხის გავრცელების საშუალებას იძლევა. აგრეთვე იზრდება გამოსახულებისა და ხმის ხარისხიც. ევროპის დიდმა ნაწილმა ეს პროცესი უკვე დაასრულა. ესაა კომპლექსური და ხშირად

ხანგრძლივი პროცესი, მაგალითად შტატებში ამ პროცესს 15 წელი დაჭირდა, თუმცა ამის საპარისიპროდ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ პროცესი შესაძლოა უფრო ხანმოკლეც იყოს. მაგალითად ბულგარეთმა ეს ორ წელიწადში შეძლო.

მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმებიდან უკვე 8 წელი გავიდა, სახელმწიფოს დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონდა რაიმე სახის საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ამ პროცესს დაარეგულირებდა. სტრატეგიის შემუშავებაზე პასუხისმგებელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროა, თუმცა რაიმე სახის სტრატეგია, წლების განმავლობაში არც მას წარმოუდგენია. ამ მიმართულებით ძვრები 2014 წელს დაიწყო და 7 თებერვალს საქართველოს მთავრობამ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო სტრატეგია და რეკომენდაციები დაამტკიცა.

ამ სტრატეგიის მიხედვით, საქართველოში ინერგება ამერიკის შეერთებული შტატების მიდგომა, რომლის მიხედვითაც, რეგიონულ და ადგილობრივ მედიას შედარებით დაბალი სტანდარტის აპარატურით მაუწყებლობა შეეძლება, რაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს მათ ფინანსურ მდგომარეობას და ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა მათ მძიმე ფინანსურ ტვირთად არ დააწვებათ. ტელეკომპანია, ციფრული მაუწყებლობა რომ შეძლოს, სპეციალური გადამცემით უნდა აღიჭურვოს. ტელეკომპანია, რომელიც ციფრული მაუწყებლობის ხანაში ვერ შეძლებს საკუთარი პროდუქციის თავადვე ტრანსლირებას, შესაძლოა, მხოლოდ კონტენტის მწარმოებლად დარჩეს. მის პროდუქციას კი, პროვაიდერი გაავრცელებს.

მიუხედავად, მთავრობის მხრიდან გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებისა, მაინც რჩება გარკვეული პრობლემები, რაც აფერხებს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესს. პრობლემას წარმოადგენს საზოგადოების მატერიალური და ინფორმაციული მზაობა, ციფრული მაუწყებლობის კუთხით. საზოგადოების დიდ ნაწილს საერთოდ არ აქვს ინფორმაცია ამ პროცესის შესახებ. გარდა ამისა, მოსახლეობის ნაწილს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან ერთად, შესაძლოა მოუწიოს სპეციალური აპარატების შეძენა, რათა 2015 წელს, ტელევიზიების სრული „გაციფრულების“ შემდეგ, ტელეარხების მიღება და ყურება შეძლონ. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ მთავარი ცვლილება იმ მაყურებელს ელის, ვინც მაუწყებლობას გარე, ოთახის ან საერთო ანტენის საშუალებით იღებს. ასეთი კი, ბოლო კვლევების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 45.9 პროცენტია. აქედან დიდი წილი სოფლად მცხოვრებ ოჯახებზე მოდის. აპარატურის ყიდვა არ მოუწევთ იმ მაყურებლებს, რომლებიც მაუწყებლობას საკაბელო ქსელებით ან სატელიტით იღებენ. საკაბელო კომპანიები სიგნალის ციფრულად გარდაქმნას თავად უზრუნველყოფენ. თუმცა, ამის შემდეგ, შესაძლოა საკაბელო ოპერატორებმა მომსახურება გააძვირონ. ამის შესახებ რაიმე კონკრეტული ცნობა ჯერ არ არსებობს.

ფასის გაზრდა, ან შენარჩუნება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დანახარჯი ექნება კონკრეტულ პროვაიდერს, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში.

რაც შეეხება ფინანსურ ნაწილს, სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი სტრატეგიის მიხედვით, სახელმწიფო უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ციფრული სიგნალის მიმღები აპარატურის უფასოდ დარიგებას. თუმცა, აქ პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ამ კატეგორიაში შემავალი ოჯახების ნაწილს საერთოდ არ აქვს სახლში ტელევიზორი, ან აქვს საკმაოდ ძველი მოდელის ტელევიზორი, რომელიც ვერ გამოდგება ციფრული მაუწყებლობის მისაღებად. ასე რომ, ამ ოჯახებისთვის, მხოლოდ ციფრული სიგნალის მიმღები აპარატების უფასოდ დარიგება ვერაფერს შეცვლის და აუცილებელია, რომ სახელმწიფომ საზოგადოების ამ ჯგუფს მიაწოდოს მინიმალური ხარისხის და სტანდარტის მიმღები აპარატურაც.

## ეთიკა და თვითრეგულირება

საქართველოში მოქმედებს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, რომელიც ქვეყანაში მთავარ თვითრეგულირების ორგანოდ ითვლება. ქარტია 2009 წელს შეიქმნა და მის 11 პრინციპს 250-ამდე აქტიური ტელე-რადიო, პრესისა და ონლაინ მედიის ჟურნალისტი, რედაქტორი თუ პროდიუსერი აწერს ხელს. ქარტიის 11 პრინციპი ევროპის საბჭოს „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-10 მუხლსა და „ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაციის“ მიერ აღიარებულ „ჟურნალისტების ქცევის პრინციპების დეკლარაციას“ ეფუძნება და წარმოადგენს ზოგად სტანდარტებს, რომლითაც მედიასფეროში მოღვაწე პირებმა უნდა იხელმძღვანელონ. ხელის მოწერით, ჟურნალისტები იღებენ გარკვეულ ვალდებულებას საზოგადოების წინაშე, რომ პროფესიული საქმიანობისას ამ პრინციპებს დაიცავენ. იმ შემთხვევაში კი, როცა ნებისმიერი მოქალაქის აზრით, რომელიმე ჟურნალისტმა დაარღვია ქარტიის პრინციპები, მოქალაქეს შეუძლია ჟურნალისტს უჩივლოს ქარტიის საბჭოში, რომელიც თავის მხრივ, დეტალურად შეისწავლის საქმის არსს და დებს დასკვნებს. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭო თავად არ ახდენს მონიტორინგს იმისას, იცავენ თუ არა ხელმომწერი ჟურნალისტები ქარტიის პრინციპებს, ის რეაგირებს მოქალაქეების მიერ შესულ განცხადებებზე და ამის შემდეგ იწყებს საქმის შესწავლასა და შემდგომ, დასკვნის გამოქვეყნებას. 2014 წლამდე ქარტიის საბჭო განიხილავდა მხოლოდ იმ ჟურნალისტების საქმეებს, რომლებიც ხელმომწერები იყვნენ ქარტიის პრინციპებისა. 2014 წელს კი, ჩატარებული გამოკითხვების შედეგად, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ მანდატის გაფართოება გადაწყვიტა და ის ახლა ისეთი ჟურნალისტების საქმეებსაც განიხილავს, რომლებიც ქარტიის ხელმომწერები არ არიან. საბჭო შედგება 9 წევრისგან, რომლებიც ირჩევა წევრი ჟურნალისტების მიერ.

გარდა ამისა, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, პერიოდულად ატარებს სხვადასხვა თემატურ მედიამონიტორინგს - მედიაში საარჩევნო პროცესების, ბავშვთა საკითხების, მართლმსაჯულების გაშუქების შესახებ. მედიამონიტორთა ჯგუფი აკვირდება მედიასამუშალებებს, აღმოჩენილი და დარღვევის შემთხვევაში კი, წერს საჩივრებს თვითრეგულირების ორგანოში და ამზადებს საჯარო განცხადებებს. მონიტორინგის საბოლოო შედეგები, გამოვლენილი ნეგატიური და პოზიტიური ტენდენციები და რეკომენდაციები თავს საბოლოო და შუალედურ ანგარიშებში იყრის.

გარდა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა, მაუწყებლებში მოქმედებს თვითრეგულირების ორგანოებიც. მაუწყებლებს თვითრეგულირების მექანიზმის შექმნას კანონი მაუწყებლობის შესახებ ავალდებულებს. თუკი მოქალაქეს მიაჩნია, რომ მისი უფლება მაუწყებლის მიერ გაშუქებულ მასალაში დაირღვა, მან მაუწყებელს თვითრეგულირების ორგანოში უნდა უჩივლოს. აქ ხშირად, პრობლემას წარმოადგენს ის, რომ კანონის თანახმად, ადამიანი, რომელსაც მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოში ჩივილი შეეძლება, „დაინტერესებული პირი“ უნდა იყოს, რაც გულისხმობს იმას, რომ ეთერში გასული მასალა, უშუალოდ მის, ან მისი ოჯახის შესახებ უნდა იყოს მომზადებული. დღემდე ბუნდოვანებას წარმოშობს კანონის ეს დებულება და არაა მკვეთრად განსაზღვრული, რას ნიშნავს „დაინტერესებული პირი“. არის შემთხვევები, როდესაც თვითრეგულირების ორგანო სწორედ იმიტომ არ სცნობს დასაშვებად პირის საჩივარს, რომ მას „დაინტერესებულ პირად“ არ მიიჩნევს. მაგალითად, ბავშვთა საკითხებზე მომუშავე არაერთ ორგანიზაციას ეთქვა უარი თვითრეგულირების ორგანოს მხრიდან იმ საჩივრების განხილვაზე, რომელიც ბავშვთა უფლებებზე ეთერში გასულ მასალას ეხებოდა, მოტივით, რომ ორგანიზაცია არ წამოადგენდა „დაინტერესებულ პირს“.

## შეჯამება და რეკომენდაციები

მიუხედავად ზემოთჩამოთვლილი არაერთი პრობლემისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში მედიაგარემო ნაკლებპოლარიზებული, თავისუფალი და პლურალისტურია. დღეს უფრო ნაკლებად შეიმჩნევა პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან მედიაზე ზეგავლენა, ასევე, წინა წლებთან შედარებით, მოსახლეობის დიდ ნაწილს უფრო მეტი ხელმისაწვდომობა აქვს ინფორმაციის სხვადასხვა, განსხვავებულ წყაროებზე. მიუხედავად გარკვეული პოზიტიური ცვლილებებისა, კვლავაც პრობლემად რჩება მედიის პროფესიონალიზმი, მედიასამუშალებების ფინანსური გამჭვირვალობა და პოლიტიკური ინტერესები მედიის ფლობასთან დაკავშირებით. განსაკუთრებულად საყურადღებოა საზოგადოებრივ მაუწყებელში

ბოლო წლებში დაწყებული კრიზისი, რომელიც დღემდე გრძელდება, და რომლის შედეგადაც, მაუწყებელი, ფაქტობრივად, სამეურვეო საბჭოს გარეშე რჩება. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების შესარჩევი განმეორებითი კონკურსისთვის განაცხადების მიღება 2014 წლის 26 მარტს შეწყდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ თანამდებობაზე კონკურსის მეორედ გამოცხადება, იმიტომ გახდა საჭირო, რომ საქართველოს პარლამენტმა, პირველი კონკურსის დროს, 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მხოლოდ 4 მეურვე დაამტკიცა. უმნიშვნელოვანესია, რომ ამ ეტაპზე მაინც მოხდეს საბჭოს სრულფასოვნად დაკომპლექტება, რათა დასრულდეს საზოგადოებრივ მაუწყებელში შექმნილი კრიზისი და მაუწყებელმა სრულფასოვნად შეძლოს მუშაობა.

### რეკომენდაციები:

- მედიაორგანიზაციის ფინანსური გამჭვირვალობასა და მედიამფლობელებთან დაკავშირებული ინფორმაციის საზოგადოებისთვის სრულფასოვნად მიწოდება;
- ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში უფრო სწრაფი და ეფექტური ნაბიჯების გადადგმა; რაც გულისხმობს სფეროში მონოპოლიის არსებობის ხელისშემშლელი მექანიზმების შემუშავებას, ციფრული მაუწყებლობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას და ამ პროცესში სამოქალაქო სექტორის უფრო აქტიურ ჩართვას;
- საზოგადოებრივ მაუწყებელში არსებული პრობლემების მოგვარებისთვის ეფექტური ნაბიჯების გადადგმა - საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების პროცესის მოკლე ვადებში დასრულება, რათა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შეძლოს სრულფასოვნად ფუნქციონირება;
- ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების უკეთ დაცვის მიზნით, უფრო ეფექტური თვითრეგულირების მექანიზმების ამოქმედება;
- მაუწყებელთა ქცევის კოდექსში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომელიც უზრუნველყოფს "დაინტერესებული პირის" ბუნდოვანი ცნების უკეთ განსაზღვრას.